

POSSIBLE REMINISCENCES OF SHAKESPEARE'S "THE WINTER'S TALE" AND "THE MAN IN THE PANTHER'S SKIN" IN IT

შექსპირის „ზამთრის ზღაპარი“ და „ვეფხისტყაოსნის“ შესაძლო
რემინისცენციები მასში

Ana Khurtsilava

Student of the Doctoral Program in Philology
at Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
1 Ilia Tchavtchavadze Avenue, 0179, Georgia,
+995 557976117, ana.khurtsilava97@gmail.com
<https://orcid.org/0009-0001-7774-1283>

Abstract. Observations on Shakespeare's late plays ("Cymbeline", "The Winter's Tale", "Pericles, Prince of Tyre", "Hurricane") show significant differences in plot and structure compared to his early works. These plays introduce new narrative elements, suggesting a shift in the author's creative style. This paper discusses the ideological and narrative parallels between Shakespeare's "The Winter's Tale" and Shota Rustaveli's epic poem "The Man In The Panther's Skin". The analysis also considers the widely accepted claim in English literary criticism that Robert Greene's prose romance Pandosto served as the primary source for Shakespeare's play.

Key words: "The Man in The Panther's Skin", "The Winter's Tale", "Reminiscence", "Storyline".

ანა ხურცილავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფილოლოგიის
სადოქტორო პროგრამის სტუდენტი,
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1, 0179, საქართველო
+995 557976117, ana.khurtsilava97@gmail.com
<https://orcid.org/0009-0001-7774-1283>

აბსტრაქტი. შექსპირის ბოლო პერიოდის პიესებზე (*ციმბელინი*, *ზამთრის ზღაპარი*, *პერიკლე*, *ქარიშხალი*) დაკვირვება ცხადყოფს, რომ ისინი არსებითად განსხვავდებიან როგორც სიუჟეტურად, ისე მოტივების განვითარების კუთხით, ავტორის ადრეული პიესებისა და ტრაგედიებისგან. კერძოდ, თავს იჩენს სხვადასხვა ნიუანსი, შექსპირი განსხვავებულ სიუჟეტურ ხაზს ირჩევს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ავტორის სტილი იცვლება. წინამდებარე ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებ უილიამ შექსპირის „ზამთრის ზღაპარსა“ და მისი ცალკეული ეპიზოდების იდეურ-სიუჟეტურ მიმართებაზე შოთა რუსთაველის პოემასთან „ვეფხისტყაოსანი“. განხილვისას დავეყრდნობი ინგლისურ

ლიტერატურათმცოდნეობაში ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას პიესის სიუჟეტურ წყაროდ მიჩნეული რობერტ გრინის რომან „ჰანდოსტოს“ შესახებ.

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“, „ზამთრის ზღაპარი“, „რემინისცენცია“, „სიუჟეტური ხაზი“.

შესავალი. შექსპირის ბოლო პერიოდის პიესებში იკვეთება განსხვავებული სიუჟეტური ხაზი და მოვლენების სხვაგვარი განვითარება, რაც სრულიად არ არის დამახასიათებელი ავტორის ადრეული შემოქმედებისა და თავად ავტორისთვის. აღნიშნულმა საკითხმა ინგლისურ ლიტერატურათმცოდნეობაში მკვლევართა დიდი ინტერესი გამოიწვია. კრიტიკოსთა ნაწილი ამ ოთხი პიესის სიუჟეტის განსხვავებულ განვითარებას უკავშირებს შექსპირის ცხოვრების ბოლო პერიოდში მომხდარ ცვლილებებს. ნაწილი ფიქრობს, რომ ეს ცვლილება ეპოქამ მოიტანა. თვლიან იმასაც, რომ ავტორმა შემოქმედებითი ცხოვრების ბოლო ეტაპზე შემოგვთავაზა სხვა ტიპის ნაშრომები, რომლებიც თავისი არსით არ ჰგავდნენ წინანდელს, რადგან მან, უკვე ასაკში შესულმა და გამოცდილებადგროვებულმა, უფრო ნათლად დაგვიხატა ადამიანური ცხოვრების, ემოციებისა და ადამიანური ბუნების ღრმა მნიშვნელობა.

შექსპირის შემოქმედებაში ამ მკვეთრი ცვლილების მიზეზად მოსალოდნელია, რომ ლიტერატურულ წყაროებსაც ჰქონდეს გარკვეული მნიშვნელობა. რამდენადაც დიდი ინგლისელი დრამატურგის ბოლო პერიოდის ამ ოთხივე ნაწარმოებში გამოვლენილი სიუჟეტური ხაზის განვითარებაში მკვეთრი ცვლილებანი, ისევე, როგორც სიუჟეტის ცალკეული არსებითი ეპიზოდები, ერთგვაროვანია და ისინი მიმართებას ამყარებენ *ვეფხისტყაოსანთან*. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს სიუჟეტური წყაროც ახდენს გავლენას შექსპირის შემოქმედების ამ პერიოდის ცვლილებებზე. მითუმეტეს რომ ამ პერიოდის ერთი უმთავრესი ნაწარმოების *ციმბელინის* ლიტერატურული წყარო, როგორც ჩანს *ვეფხისტყაოსანია*. ამ მიმართულების გამოსაკვლევად შევეცადე შემესწავლა შექსპიროლოგთა თვალსაზრისები შექსპირის ბოლოდროინდელი პიესების შესახებ. გამოვლინდა შექსპიროლოგთა რამდენიმე მოსაზრება, რომელიც ამ თვალსაზრისით საინტერესოა.

„ამავე დროს საქმე გვაქვს XVI საუკუნის დასასრულის ევროპულ ლიტერატურულ სტილთან: ამდროინდელი ავტორი ეძებს თავისი ლიტერატურული ქმნილებისათვის ფაბულას, ძირითად ქარგას; გადაამუშავებს მას: ამბავს გადაიტანს სხვა ქვეყანაში, შეცვლის მოქმედ პირთა სახელებს, გადაასხვავდებენ სიუჟეტის განვითარების ხაზს, შეცვლის ფინალს და სხვა. მაგრამ მისი ნაწარმოების ფაბულას რაღაც წყარო აქვს; იგი თითქმის ყოველთვის რაღაც ამბიდან ამოდის. ხშირად ასეა შექსპირის პიესების შემთხვევაშიც. ესაა საზოგადოდ ძველი-ანტიკური და ადრინდელი შუასაუკუნეებიდან მომდინარე ლიტერატურული შემოქმედების სტილი: ავტორი თითქმის ყოველთვის გადაამუშავებს მითოსის, ძველი ეპიკური ტრადიციის, ძველი საისტორიო მოთხრობის თუ გადმოცემის რაღაც ეპიზოდს.“ (ხინთიბიძე, 2016: 69)

მეთოდები. სიუჟეტის განვითარების ის ხაზი, რომელიც საერთოა შექსპირის ბოლო პერიოდის პიესებისა და ვეფხისტყაოსნისთვის, ის ახალი იდეა, რომელიც შექსპირს შემოაქვს გვიანდელ პიესებში, სრულიად უცნობია მისი ადრეული შემოქმედებისთვის, მაგრამ ეს ხაზი სულაც არ არის უცხო *ვეფხისტყაოსნისათვის*. სიუჟეტის განვითარების აღნიშნული ხაზი ნათლად იკვეთება შემდეგ ნიუანსებში: სამეფო კარზე წარმოშობილი ინტრიგა, პერსონაჟის გადაკარგვა/გაძევება (დომინირებს ზღვის თემა), მოქმედების სამეფო კარიდან სხვა სივრცეში გადატანა, მოქმედების განვითარება სხვა სივრცეში, ამასთანავე

ახალი სიუჟეტის ჩართვა, ბედნიერი დასასრული, კერძოდ, ქორწილი და ამ ქორწილშიც ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც გვაქვს *ვეფხისტყაოსანშიც* და შექსპირის ბოლო პერიოდის ყველა პიესაში, სამეფო წარმომავლობის მემკვიდრე ქალი ქორწინდება სამეფო წარმომავლობის მამაკაცზე. ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილი სიუჟეტურ ქარგა მსგავსია *ვეფხისტყაოსანშიც*.

კრიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, *ჰამთრის ზღაპარი* შექსპირის ყველაზე პრობლემური პიესაა, რადგან პირველი სამი მოქმედება ფსიქოლოგიურ დრამას წარმოადგენს, დანარჩენში კი დრამასთან თანაარსებობს კომედიური ჟანრი. საბოლოოდ, ყველაფერი ბედნიერ დასასრულამდე მიდის. პრობლემურ პიესაში გულისხმობენ იმასაც, რომ ძნელია მიაწიწონო კონკრეტულად რომელი ჟანრის კუთვნილებას წარმოადგენს ის, ტრაგედიაა თუ კომედია, კრიტიკოსთა აზრით, ასეთი პიესები თავიანთი პრობლემური ბუნებით გამოირჩევიან.

ჰამთრის ზღაპრის სიუჟეტურ წყაროდ მიიჩნევენ რობერტ გრინის ნაწარმოებს *პანდოსტო*. *პანდოსტოს* ახასიათებს გარკვეული სიუჟეტური მიმართებები შექსპირის *ჰამთრის ზღაპართან*, მაგრამ მსგავსებასთან ერთად თავს იჩენს განსხვავებებიც. თან ისეთი განსხვავებები, რომლებიც ნაწარმოებში დიდი ცვლილების მომტანია და ხშირად გადამწყვეტი ფუნქციაც ენიჭება.

შექსპირის პიესებიდან *ჰამთრის ზღაპართან* ყველაზე ახლოს *ციმბელინი* დგას. ორივე ნაწარმოების დასაწყისში ვხვდებით ტრაგიკულ სიუჟეტს, ეს ტრაგედია კი დაფუძნებულია მამაკაცის მძვინვარე ექვიანობაზე, რაც ქალის სიკვდილს იწვევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ *ჰამთრის ზღაპარში*, *ვეფხისტყაოსანსა* და *ციმბელინი*ში, და არა მარტო მათში, მთავარ როლში ყოველთვის ერთი პერსონაჟი არ არის და სულ მის გარშემო და მასთან ერთად არ იცვლება სიუჟეტი, ვხვდებით სხვადასხვა პერსონაჟის ისტორიასა და მოქმედებების გადატანას სხვადასხვა ადგილზე. აღნიშნული სამი ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ქალები, ერთ შემთხვევაში, იძულებულნი არიან დატოვონ სამშობლო, მეორე მხრივ კი მათ უგზო-უკვლოდ გადაკარგავენ. მთავარი ინტრიგა სამეფო კარზე წარმოიშობა, შემდეგ ვხვდებით მთავარი პერსონაჟის შორს ყოფნის მომენტებს, ახალ ისტორიას სხვა გარემოში, ბოლოს კი ბედნიერ დასასრულს და ეს დასასრული ყოველთვის იქ არის, სადაც მთავარმა ინგრიგამ იჩინა თავი.

ვხვდებით ერთადერთი, ქალი მემკვიდრის გემით გადაკარგვის თემას, ექვიანობას, სამშობლოში დაბრუნებასა და ქორწილს - ბედნიერ დასასრულს. მსგავსი სიუჟეტური სქემა ზედმიწევნით მეორდება რობერტ გრინის რომანში *პანდოსტო* და შოთა რუსთაველის პოემაში *ვეფხისტყაოსანი*. ორივე ნაწარმოებთან შექსპირის აღნიშნული პიესის მიმართებას დეტალურად განვიხილავ. ინგლისური ლიტერატურული კრიტიკა იზიარებს იმ აზრს, რომ შექსპირის პიესის *ჰამთრის ზღაპარი* სიუჟეტური წყარო არის რობერტ გრინის *პანდოსტო*, სამეცნიერო ლიტერატურაში ლიტერატურათმცოდნეები სწორედ ამ ნაწარმოებზე მიგვანიშნებენ, როცა *ჰამთრის ზღაპრის* წყაროებზე საუბრობენ.

„ინგლისური ლიტერატურათმცოდნეების მიერ პიესის წყაროდ მიჩნეული რობერტ გრინის *პანდოსტოდან* შექსპირმა პირველი სამი მოქმედებისთვის აიღო მასალა. აღსანიშნავია ერთი ფაქტი, გრინმა განსაკუთრებით დაამახსოვრა კრიტიკოსებს თავი, როდესაც, სულ ცოტა ხნით ადრე გარდაცვალებამდე, შექსპირს შეუტია, მას სცენის შემრყენელი (შპაკესცენე) უწოდა და პლაგიატობა დასწამა. ახლა, რვა წლის შემდეგ, შექსპირმა გარდაცვლილი მწერლის ყველაზე ცნობილი ნაწარმოების სიუჟეტი ისესხა. შეიძლება ცდუნებას ვერ გაუძლო, ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინა.“ (აკროიდი, 2011: 322). პიტერ აკროიდის ზემოთ მოყვანილი რობერტ გრინის სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ შექსპირი არ ერიდებოდა გამოეყენებინა სხვისი სიუჟეტი. ვფიქრობ, გრინის სიტყვები საფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული, რადგან ხელთ არაერთი მტკიცებულება

გვაქვს იმისა, თუ როგორ აიღო შექსპირმა სხვადასხვა სიუჟეტი და შემდეგ როგორ გახადა ის თავისი პიესების თემა.

ადვილი შესაძლებელია შექსპირის ზემოთხსენებული ამ დიდებული პიესის წყარო შოთა რუსთაველის გენიალური პოემა *ვეფხისტყაოსანი* ყოფილიყო (აქვე აღვნიშნავ, რომ ეს მოსაზრება ვარაუდის დონეზე მაქვს გამოთქმული, თუმცა შესაბამისი არგუმენტების მოხმობით). შუასაუკუნეების ევროპაში ქართული ლიტერატურისადმი ინტერესი საკმაოდ დიდია. როგორც პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის კვლევებიდან ჩანს, *ვეფხისტყაოსანი* უნდა ყოფილიყო შექსპირის *ციმბელინის* ბომონტისა და ფლეტჩერის პიესის *მეფე და არამეფე* და *ფილასტერის* სიუჟეტური წყარო. ის აგრეთვე აღვნიშნავს იმ გზასაც, რომლის მეშვეობითაც გახდა *ვეფხისტყაოსანი*, ქართული ლიტერატურის ეს უდიდესი ნაწარმოები, ესოდენ პოპულარული და ცნობადი ინგლისში და ზოგადად მთელ ევროპაში. კერძოდ, მიუთითებს იმას, რომ შოთა რუსთაველის ამ ქმნილების გაცნობა შექსპირის ეპოქის ინგლისში დაკავშირებული უნდა იყოს XVI-XVII საუკუნეებში სპარსეთის სამეფო კარზე დაწინაურებულ ქართველ ალავერდი ხან უნდილამესთან, რომელიც იყო შაჰის მრჩეველი, მისი აღმზრდელი, ირანის სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე, აგრეთვე, იმ ქართველ ქრისტიან ქალებთან, რომლებიც შაჰ-აბასის ცოლები იყვნენ და დიპლომატიური მისიით ინგლისიდან სპარსეთში ჩასულ ენტონი შერლთან, რომლის სპონსორები შექსპირთან დაახლოებული პირები ყოფილან.

შედეგები. *ჰამთრის ზღაპარი* თავისი სიუჟეტური ქარგით ძლიერ ემსგავსება რუსთაველის *ვეფხისტყაოსანს*. პირველი, რაც აუცილებლად უნდა აღვნიშნო, არის ის, რომ ორივე ნაწარმოებში კონფლიქტი, მთავარი ინტრიგა, ანუ ის, რაზეც შემდგომ მთელი სიუჟეტი აიგება, წარმოიშობა სამეფო კარზე, *ვეფხისტყაოსნის* შემთხვევაში ინდოეთში, ხოლო *ჰამთრის ზღაპრის* შემთხვევაში სიცილიაში, დიდებულებს შორის. სამეფო კარის ერთადერთ მემკვიდრეს პერდიტას, იძულებით, ისევე, როგორც *ვეფხისტყაოსნის* ნესტანს, სამეფო კარიდან შორს, ზღვით გადაკარგავენ. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ორივე ნაწარმოებში მემკვიდრე ქალის თავიდან მოშორება, უგზო-უკვლოდ გადაკარგვა, სწორედ ზღვის საშუალებით ხდება. თუმცა განსხვავება ისაა, რომ პერდიტა ამ დროს ახალშობილია, ნესტანი კი ზრდასრული. ნესტანს მასზე გაბრაზებული მამიდა ზანდუკში ჩაასმევინებს, პერდიტა კი კალათშია ჩასმული. ორივე ნაწარმოებში ცალკეული პიროვნებები შეყვარებულ წყვილთა ქორწინების წინააღმდეგნი არიან.

ნესტანს, მამიდა დავარი, ღალატში, საქმროს მოკვლასა და მრუმობაში დასდებს ბრალს:

„როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე?“ (578)

რიტორიკულად ეკითხება აღმზრდელი მამიდა ნესტანს და თან მას პასუხაუცემლად სჯის, შემდეგ კი ყველანაირი ახსნა განმარტების გარეშე უბრძანებს მსახურებს გოგონა ზღვით გადახვეწონ შორს სამშობლოდან, შუა ზღვაში. ასევეა *ჰამთრის ზღაპრის* პერსონაჟი ლეონტესიც, ის ცოლს ღალატსა და მრუმობაში დასდებს ბრალს და ისე, რომ მისგან არანაირ თავის მართლებას არ მიიღებს, საკუთარ შვილს ღალატის შედეგად ჩასახულად ჩათვლის და თავიდან მოიშორებს, ანტიგონუსს უბრძანებს ზღვის გავლით წაიყვანოს ზავში და დატოვოს სადმე მისგან და მისი სამეფოსგან შორს.

სამეფო კარზე დატრიალებული კონფლიქტის შემდეგ, როგორც გამოჩნდა, ორივე ნაწარმოების მემკვიდრე ქალებს, იძულებით გადახვეწენ, თან ორივე ეპიზოდში გადაკარგვის ადგილად ზღვა დომინირებს. სამეფო კარის მემკვიდრე ნესტანიც და პერდიტაც იკარგება, მათი ასავალ-დასავალი არავინ იცის და არც არვინ არის ისეთი, ვისაც მათი იმჟამინდელი ადგილსამყოფლის შესახებ რაიმე ცნობა ექნება. ტარიელი უშედეგოდ და უიმედოდ ეძებს სატრფოს, ნესტანს. ლეონტესი კი დროს სინანულში ატარებს ქალიშვილის დაკარგვის გამო. თუმცა, საბოლოოდ, ორივე გოგონა ბრუნდება სამშობლოში,

იქ, სადაც ყველაფერი დაიწყო, სადაც მთავარმა ინტრიგამ იჩინა თავი და საიდანაც ისინი გადაკარგეს. მათი დაბრუნება კი ყველანაირ პრობლემას გადაწყვეტს. ისინი უბრუნდებიან თავიანთ სამეფოს და ეს დაბრუნება ბედნიერი დასასრულით, კერძოდ, ქორწილით გვირგვინდება. წრე იკვრება და ყველაფერი იქ სრულდება, სადაც დაიწყო.

გამოიყოფა კიდევ ერთი გარემოება, ლეონტეს ჰერმიონე გარდაცვლილი მიაჩნია, თუმცა მისი გვამი არც კი უნახავს, ალბათ იმიტომ, რომ თავს დამნაშავედ გრძნობდა. მის შემთხვევაში, უბრალოდ მეუღლისა და ვაჟიშვილის გარდაცვალება შეატყობინეს, თავად მას მათი გვამის ნახვა არც მოუთხოვია. ტარიელსაც ჰგონია, რომ ნესტანი გარდაცვლილია, რადგან თავდაუზოგავი ძებნის შემდეგ მის კვალს ვერ მიაკვლია, თუმცა ტარიელისთვის არავის უთქვამს, რომ ნესტანი ცოცხალი აღარ არის. ის ამბობს:

*„.....აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით,
მუნ ერთმანერთი კვლა ვნახნეთ, კვლა რამე გავიხარენით,
მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომყარენით!“ (882)*

პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე მიიჩნევს, რომ „სატრფოსთან იმქვეყნიური შეერთების სურვილი ახალი სიტყვაა სიყვარულის გადააზრებაში, შუა საუკუნეებიდან რენესანსამდე სივრცეში.“ (ხინთიბიძე, 2016)

პერდიტას შეცნობა არამხოლოდ მწყემსის მიერ მოყოლილი ისტორიით ხდება, არამედ დედის მოსახამითაც, რომელიც მან ჯერ კიდევ ჩვილობაში შემოახვია ბავშვს. გავიხსენოთ სცენა, როცა ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხეშია გამომწყვდეული და ტარიელს დასტურად, იმისა, რომ ცოცხალია, წერილთან ერთად უგზავნის რიდეს. როგორც ჩანს, ამ ფაქტითაც ემსგავსება ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთს.

შენდობის და პატიების მომენტი *ვეფხისტყაოსანში* იჩენს თავს. გავიხსენოთ ტარიელის ინდოეთში დაბრუნება და ხატაელთა მეფის დამორჩილება, სადაც ხატაელთა მეფე ტარიელს შემოუთვლის დაგმორჩილდი და შენთან შესახვედრად მოვდივარო, მაგრამ მზაკვრულ გეგმას დაისახავს და განიზრახავს მოიმწყვდიოს ჯართან ერთად ტარიელი და მოკლას. როცა ამ ამბავს შეიტყობს ტარიელი, შეიპყრობს ხატაელთა მეფეს, მაგრამ, როცა ის შეწყალებას სთხოვს, მაშინვე აპატიებს. ასევე პატიობს ყველაფერს ჰერმიონე ლეონტესს, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, როგორ გაიმეტა ისიც და საკუთარი შვილიც სატანჯველად და მოსაკლავად.

ვეფხისტყაოსანში უანგარო და გულწრფელი მეგობრობის თემა უმაღლეს იდეალადეა აყვანილი. ამის ნათელი მაგალითია ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობა, რომელმაც უამრავ განსაცდელს გაუძლო. ავთანდილი მეგობრის დასახმარებლად ძალღონეს არ იშურებს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ის ბედნიერი ნახოს, ის საკუთარ სიცოცხლესაც კი აგდებს საფრთხეში. შექსპირის *ჰამთრის ზღაპარში* კარგი მეგობარი შეიძლება ვუწოდოთ ლორდ კამილიოს. სწორედ კამილიოს გაუმხელს ლეონტესი თავის ეჭვებსა და ზრახვებს, კამილიო კი როცა გაიგებს, რომ ლეონტესს პოლიქსენესის მოკვლა სურს, პოლიქსენესთან ერთად გაიქცევა ბოჭეშიაში. ამ საქციელით ის იხსნის არა მხოლოდ პოლიქსენესს, რომელიც ეჭვმა დააბრმავა და არ იცის რას აკეთებს, არამედ ლეონტესსაც. ბოჭეშიაში ჩასული კამილიო პოლიქსენესის ახლო მეგობარი და მრჩეველი გახდება. ის კიდევ ერთ დიდ სიკეთესაც გააკეთებს, კერძოდ, გავიხსენოთ როგორ იხსნა ფლორიზელისა და პერდიტას სიყვარული და როგორ დაეხმარა მათ სიცილიაში გაქცევაში. კამილიო დაუბრუნდა თავის ძველ მეგობარ ლეონტესს და ჩამოუყვანა ის „ხსნა“, რამაც ყველას ბედნიერება მოუტანა და ლეონტესსაც დაუბრუნა ოჯახი. ყველაფერ ამას კამილიო გამორჩენის ან დიდების მიზნით როდი აკეთებდა, მას ამოდრავებდა გულწრფელი სურვილი დახმარებოდა ახლობელ ადამიანებს, განსაკუთრებით კი მეგობრებს, რომლებიც ზოგჯერ არასწორ გზაზე იდგნენ.

ვეფხისტყაოსანსა და *ჰამთრის ზღაპარს* შორის მსგავსება არის ისიც, რომ ორივე შემთხვევაში სამეფოს ერთადერთი მემკვიდრე ქალი ქორწინდება სამეფო წარმომავლობის

ყმაწვილზე, პრინცზე. ფლორიზელი და ტარიელი განსხვავებული პიროვნებები არიან მაგრამ საერთოც აქვთ, ორივე მათგანი საყვარელი ქალის გამო უარს ამბობს საკუთარ სამეფოში ცხოვრებაზე, სამეფო ღირსებასა და დიდებაზე. ტარიელს კანონიერი უფლება აქვს მოითხოვოს სამეფო ტახტი, მითუმეტეს იმიტომ, რომ ნესტან დარეჯანი უგზო-უკვლოდ არის დაკარგული, მამილუსსაც შეეძლო არ წასულიყო ოჯახის წინააღმდეგ დამორჩილებოდა მამის ნებას, რომელიც წინააღმდეგი იყო მისი და პერდიტას ურთიერთობის და უარი ეთქვა სიყვარულზე. ტარიელსა და ფლორიზელს საყვარელ ქალზე უარის თქმა არათუ არ სურთ, არც ფიქრობენ ამაზე, მიჯნურის გარეშე მათთვის სამეფო დიდებასა და ზოგადად ყველაფერს, შეიძლება ითქვას, რომ დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

მსჯელობა. შექსპირის ბოლო პერიოდს სტილის საერთო მახასიათებლად მის ფანტაზიურობას ასახელებენ. რეალურ ეპიზოდებს არარეალური და ფანტაზიით აღსავსე ეპიზოდები ერწყმის.

„შენიშნულია, რომ პიესათა, როგორც ცალკეული ეპიზოდები, ასევე პერსონაჟთა ქცევა დაუჯერებელია, არარეალისტურია და ავტორისეული იდეალიზირებით ხასიათდება. ამ პიესათა უაღრესად მიმზიდველი ქალი პერსონაჟები შექსპირის ფანტაზიით, წარმოსახვით მოაზრებული ოცნებისეული სახეებია. მხატვრული მეტყველების ამ სტილის პარალელიც ვეფხისტყაოსანში ჩანს, რუსთველი შუასაუკუნეების სიმბოლურ მსოფლხედვაში შემოიტანს რომანტიკული მწერლობის რეალისტურ ხედვას. ამ რეალისტურის, ამქვეყნიურის, ადამიანურის აქცენტირება ხდება იდეალურის ჰიპერბოლიზირებით. შუასაუკუნეების ტრანსცენდენტულ აზროვნებაში აქცენტის გადატანა ამქვეყნიურ, რეალურ სამყაროზე, ემფაზა ადამიანზე წამოსახვით, ფანტაზიურ, იდეალურ მხატვრულ სამყაროს შექმნის. ესაა საერთო სტილი რენესანსის უშუალოდ წინარე პერიოდის ევროპული დიდი ლიტერატურისა; მისი ერთი მთავარი მხატვრული მახასიათებელი სწორედ ფანტაზიურობაა. რუსთველიც ოცნებისეულ სამყაროს ქმნის. რუსთველი ოცნებობს ამქვეყნიურ სინამდვილეში ღვტაებრივ ჰარმონიაზე: ბოროტზე სიკეთის გამარჯვებაზე; სიყვარულით, მეგობრობით, ვაჟკაცობით მოპოვებულ ბედნიერებაზე. შექსპირის ბოლო პერიოდის პიესათა მხატვრული სახის წარმოსახვითობა აშკარა პარალელს პოულობს ნესტანისა და ტარიელის რომანის ავტორის ოცნებისეულ მხატვრულ სამყაროსთან“ (ხინთიბიძე, 2016: 275-276).

ზამთრის ზღაპარშიც და ვეფხისტყაოსანშიც სასახლიდან მოქმედებები სხვა სივრცეში გადადის, დაკარგული პერდიტა ბოჰემიაში იზრდება და იქ ვითარდება მთელი რიგი სიუჟეტები და მოქმედებაში ერთვებიან სხვადასხვა პერსონაჟები, ასევე ვეფხისტყაოსანშიც, კონფლიქტი სამეფო კარიდან სხვაგან გადის, მაგალითად, ავილთ ტარიელის შემთხვევა, იგი ტყე-ველად არის გაჭრილი და ეძებს მიჯნურს. ვხვდებით სხვა პერსონაჟებსაც, რომელთა ისტორიაც პირდაპირ თუ ირიბად ერთვება ძირითად ამბავში.

დასაწყისში ვახსენე ისიც, რომ შექსპირის *ციმბელინი* იმ ოთხ პიესათა შორისაა, რომელსაც უილიამ შექსპირის ბოლო პერიოდის პიესებს ან თუნდაც პრობლემურ პიესებს უწოდებენ. იმ მოსაზრების განსამტკიცებლად, რომ შექსპირის ზემოთ მოხსენიებული პიესის წყარო შეიძლება შოთა რუსთაველის *ვეფხისტყაოსანი* ყოფილიყო მოვიყვან იდეურ-თემატურ მსგავსებას ამ ორ ნაწარმოებს შორის. სამეფო კარის ერთადერთი მემკვიდრე მხოლოდ გოგონაა, წინასწარ შეირჩევა გოგონასთვის არასასურველი საქმრო, გოგონა უყვარს სამეფო კარზე აღზრდილი ვაჟიშვილი, რომელიც მის დაბადებამდე მოამზადეს მემკვიდრედ მაგრამ მისმა დაბადებამ ყველაფერი შეცვალა. ქალს დაადანაშაულებენ ღალატში და გადაკარგავენ, სიუჟეტი ორივე ნაწარმოებში გადადის ქვეყნის გარეთ და ერთვება ახალი თემა და იდეა, პროტაგონისტის გარდაცვლილად მიჩნევა, ბოლოს

დაბრუნება და ბედნიერი დასასრული, კერძოდ, ამ ბედნიერ დასასრულში აუცილებლად გვხვდება ქორწილი.

„შექსპირის ბოლო პერიოდის პიესების კომპოზიციური მოდელირება, ოთხივე პიესის კომპოზიციური ქარგის ძირითადი პრინციპი, მეტ-ნაკლები სიზუსტით, ერთნაირია. სამეფო კარის ინტრიგა → პიესის პროტაგონისტთა (ან სამეფოს მემკვიდრეთა) ქვეყნიდან გაძევება (ან გადაკარგვა) → თავგადასავლები სამეფო კარის გარეთ, ე.წ. „სხვა სივრცეში“ → ბედნიერი დაბრუნება სამეფო კარზე (ან შეუღლება დაბრუნების პერსპექტივით). ესაა ციმბელინის კომპოზიციის მოდელი. ეს მოდელი ჩანს ზამთრის ზღაპარში: კონფლიქტი სიცილიის კარზე; ახალშობილი მემკვიდრე ქალის, პერდიტას გადაკარგვა; თავგადასავლები ქვეყნის გარეთ, „სხვა სივრცეში“ - ბოჰემიაში; ბედნიერი დასასრული: სამეფო კარზე დაბრუნება; შერიგება და შეუღლება. იგივე კომპოზიციური ქარგა იკვეთება პერიკლეს: დრამატული პრობლემა სამეფო კარზე; პერიკლეს გადაკარგვა; ტრაგიკული თავგადასავლები სამეფოს გარეთ; ბედნიერი დასასრული: პერიკლეს მემკვიდრის, მარინას ქორწილი. ეს ქარგა შენარჩუნებულია ქარიშხალშიც: კონფლიქტი მილანის მმართველის კარზე, პროსპეროს და მისი ქალიშვილის მირანდას გაძევება; თავგადასავლები „სხვა სივრცეში“; ბედნიერი დასასრული: შერიგება, მემკვიდრე ქალიშვილის დაქორწინება. შექსპირის ბოლო პიესების ამ კომპოზიციური ქარგის ზუსტი ანალოგია ნესტანისა და ტარიელის რომანის კომპოზიციის მოდელიც. კონფლიქტი ინდოეთის მეფის კარზე (მეფის ერთადერთ ასულს ნესტანს და ქვეყნის ამირსპასალარს - ტარიელს ერთმანეთი უყვართ. მეფე და დედოფალი ზედსიძედ მოიწვევენ მეზობელი ქვეყნის უფლისწულს. ნესტანი და ტარიელი გადაწყვეტენ სასიძოს მოკვლას, რასაც ტარიელი შეასრულებს). შეყვარებული წყვილის სამეფოდან გადაკარგვა (ნესტანს უგზო-უკვლოდ გადაკარგავენ; ტარიელი მიდის მის საძებრად). ნესტანისა და ტარიელის მძიმე თავგადასავლები სამეფოს გარეთ, „სხვა სივრცეში“; ბედნიერი დასასრული: დატყვევებული ნესტანის პოვნა, განთავისუფლება. გმირების სამეფოში დაბრუნება და ქორწილი.“ (ხინთიბიძე, 2017: 166)

დასკვნები. საბოლოოდ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ იმას, რომ შექსპირის ბოლო პერიოდის ნაწარმოებებში აშკარაა *ვეფხისტყაოსნის* შესაძლო რემინისცენციები, რაც გულისხმობს, რომ მათში იგრძნობა *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტური, კომპოზიციური და იდეური დეტალები, რაც შექსპირის ადრეული შემოქმედების არც ერთ ეტაპზე არ გვხვდება. ჩემ მიერ ზამთრის ზღაპრის შესწავლა ეფუძნებოდა გამოთქმულ თვალსაზრისს მასში *ვეფხისტყაოსნის* რემინისცენციების შესახებ. მნიშვნელოვნად ჩავთვალე, რომ ზამთრის ზღაპრის სიუჟეტის განვითარებაში, ისევე, როგორც შექსპირის ბოლო პერიოდის პიესებში, გარკვეულად ჩანს *ვეფხისტყაოსნის* სიუჟეტის განვითარება. სწორედ ამ თვალსაზრისის ჭრილშია ჩემ მიერ საგანგებოდ შესწავლილი შექსპირის ამ პერიოდის პიესათაგან ზამთრის ზღაპარი.

მადლიერება: ჩემი დაინტერესება, შექსპირის ბოლო პერიოდის პიესების *ვეფხისტყაოსნთან* მიმართებით, გამოიწვია პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ, რის გამოც დიდ მადლობას ვუხდით მას. მისი კვლევები და საკითხის ირგვლივ არსებული ვრცელი სტატიები დამეხმარა უფრო ფართოდ გამომეკვლია ის შესაძლო რემინისცენციები, რომელსაც შექსპირისა და რუსთაველის გენიალური შემოქმედება ავლენს ერთმანეთთან მიმართებით.

გამოყენებული ლიტერატურა

- აკროდი, პ. (2011). *შექსპირი. ადამიანები რომელთაც შეცვალეს მსოფლიო*. თბილისი.
შოთა რუსთაველი. (2005). *ვეფხისტყაოსანი*. ნ. ნათაძის რედაქციით. თბილისი.
ხინთიბიძე, ე. (2016). „ვეფხისტყაოსანი“ *შექსპირისა და მისი თანამედროვეების ინგლისურ დრამატურგიაში*. თბილისი.
ხინთიბიძე, ე. (2005). სიყვარულის გადააზრება (ტრუბადურები და დანტე; რუსთველი).
მონოგრაფიაში: *ვეფხისტყაოსნის სიყვარული*. თბილისი.
ხინთიბიძე, ე. (2017). შექსპირის ბოლო პერიოდის პიესები და „ვეფხისტყაოსანი“. *ქართველოლოგი*. #26.
Shakespeare, W. (2008). *The Winter's Tale*. Edited by Stephen Orgel. UniTed States.

REFERENCES

- ak'rodi, p'. (2011). *sheksp'iri [Shakespeare]*. adamianebi romeltats shetsvales msoplio [People Who Changed the World]. Tbilisi.
shota rustaveli. (2005). *vepkhist'qaosani [The Knight in the Panther's Skin]*. Edited by N. Natadze. Tbilisi.
khintibidze, e. (2016). „vepkhist'qaosani“ *sheksp'irisa da misi tanamedroveebis inglisur dramaturgiashi [“The Knight in the Panther's Skin” in the English Drama of Shakespeare and His Contemporaries]*. Tbilisi.
khintibidze, e. (2005). siqvarulis gadaazreba (t'rubadurebi da dant'e; rustveli) [Reconsidering Love (The Troubadours and Dante; Rustaveli)]. In: *vepkhist'qaosnis siqvaruli [The Love in The Knight in the Panther's Skin]*. Tbilisi.
khintibidze, e. (2017). sheksp'iris bolo p'erioidis p'iesebi da „vepkhist'qaosani“ [Shakespeare's Late Plays and “The Knight in the Panther's Skin”]. *kartvelologi [The Kartvelologist]*. #26
Shakespeare, W. (2008). *The Winter's Tale*. Edited by Stephen Orgel. UniTed States.